

კონკურსი - „პირველი მასწავლებელი“

კავკასიის უნივერსიტეტის განათლების სკოლა (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის (I-VI კლასები) მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და კავკასიის უნივერსიტეტის ლიტერატურული კლუბი, დაწყებითი განათლების პედაგოგთა საქართველოს ასოციაციასთან ერთად, აცხადებს ესეების კონკურსს - „პირველი მასწავლებელი“.

კონკურსის მიზანია, დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაცია, მისი მნიშვნელობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და აბიტურიენტების დახმარება პროფესიის არჩევის პროცესში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შექმნან ნაშრომი, შემდეგი თემატიკის გათვალისწინებით:

- 1) ჩემი პირველი მასწავლებელი;
- 2) დაწყებითი პედაგოგიკა - მოწოდება თუ ვალდებულება?;
- 3) წიგნიერება - პედაგოგიკის თანამედროვე გამოწვევა;
- 4) ვიდეო ინტერვიუ/დიალოგი - რატომ შეიძლება აირჩიო დაწყებითის მასწავლებლის პროფესია - (დიალოგი დაწყებითის მასწავლებელთან 2-3 წუთი).

კონკურსის მონაწილეებმა ვიდეო უნდა ატვირთონ ფეისბუკ გვერდზე ან იუთუბ არხზე, რომ ბმულის გადმოგზავნა შეძლონ.

კონკურსი სამ ეტაპად გაიმართება. პირველ ეტაპზე, კონკურსანტები ერთ ნაშრომში გააერთიანებენ ზემოთ ჩამოთვლილ თემებს და გადმოაგზავნიან წინასწარ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე, მეორე ეტაპზე კომისია გადაარჩევს საუკეთესო ნაშრომებს. კომისია დაკომპლექტდება პროფესიონალი და გამოცდილი პიროვნებებისაგან. ბოლო, მესამე ეტაპზე, კომისიის მიერ გადარჩეული ნაშრომები გამოქვეყნდება [CU ლიტერატურული კლუბის ფეისბუკ გვერდზე](#) და მოწონების რაოდენობით განისაზღვრება სამი საუკეთესო ნაშრომი.

ნაშრომის მოცულობა, სიტყვების რაოდენობა - 1000-მდე.

ფურცლის ზომა - A4, ფონტი - Sylfaen, ფონტის ზომა - 12, ხაზებს შორის ინტერვალი - 1.15

მსურველები კონკურსში მონაწილეობას ინდივიდუალურად იღებენ, მონაწილეთა ასაკი 16-18 წლამდე არის განსაზღვრული.

კომისია ნაშრომებს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით შეაფასებს:

1. თემატური შესაბამისობა და აქტუალობა;

2. სტილური და გრამატიკული გამართულობა;

3. კრეატიულობა/ორიგინალურობა.

კონკურსში გამარჯვებულებს, I, II და III ადგილებზე გასულ მონაწილეებს, გადაეცემათ სასწავლო ვაუჩერები (I ადგილი 1000 ლარი, II ადგილი 700 ლარი და III ადგილი 500 ლარი).

კონკურსი 9 მაისს გამოცხადდება. ნამუშევრების გამოგზავნის საბოლოო ვადაა - 29 მაისი.

მონაწილეებმა ნაშრომი უნდა გამოაგზავნონ შემდეგ ელ.ფოსტის მისამართზე – ces@cu.edu.ge.

საუკეთესო ნაშრომები 5 ივნისს გამოვლინდება, 6 ივნისს კი, ნაშრომები სოციალურ ქსელში განთავსდება და მოწონების კონკურსი 11 ივნისამდე გაგრძელდება.

კონკურსში გამარჯვებული 12 ივნისს გამოვლინდება.

კონკურსის შესახებ დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ

იხილოთ კავკასიის უნივერსიტეტის ვებგვერდზე:

[კავკასიის უნივერსიტეტი - Caucasus University](http://www.caucasus.edu.ge)

საკონტაქტო ინფორმაცია: მერი ხვიჩია

კავკასიის უნივერსიტეტის მარკეტინგული ღონისძიებების მენეჯერი

514 11 11 71